



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### იოანეს (ჰოვანეს) ერზინკაცი

იოანეს (ჰოვანეს) ერზინკაცი, რ ზ ი ნ კ ე ლ ი, XIII ს. სომეხი პოეტი და ასტროლოგი. მისი ნაშრომი „გეციური მოძრაობისათვის“ დაწერილია თბილისში 1284. მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ და მათი მკაცრი მმართველობის პირობებშიც კი თბილისი სომეხი პოეტის აღტაცებას იწვევს. ქართველთა სამეფოს იგი „ღვთივ დაცულს“, ხოლო მის მთავარ ქალაქს „სახელგანთქმულსა და მემატინანეთგან ფაიტაკარანად (სომხურად – „ხისგან ნაგები ქალაქი“) წოდებულ დიდ დედაქალაქ თბილისს“ უწოდებს. ი. ე-ს თბილ. სომეხთა საკრებულო ტაძარში სიტყვა წარმოუთქვამს ასტროლოგიის საკითხებზე.

*გ. მაისურაძე*

---